დანართი N1

დაგეგმილი საქმიანობის ზოგადი ტექნიკური მახასიათებლები

1. **პროექტის მიზანი**: დაგეგმილი საქმიანიბის მიზანია ქ. თბილისში, ბოლნისის სექტორში სოფ ფონიჭალაში, არსებულ სასათბურე მეურნეობის ექსპლუატაციის პროცესში, გასათბობად ნამუშევარ ზეთებზე მომუშავე, მცირე სიმძლავრის საქვაბე დანადგარის გამოყენება. ზემოაღნიშნული სასათბურე მეურნეობა ფუნქციონირებს 2020 წლიდან და წლის ცივ პერიოდში თბება გაზის საწვავის ხარჯზე, იმის გათვალისწინებით, რომ ფასები მაღალია, რაც თავისთავად აისახება წარმოებული პროდუქციის თვითღირებულებაში,. ინდ. მეწარმეს დაგეგმილი აქვს საწვავის ჩანაცვლება ნახმარი ზეთებით, რომელის წვა მოხდება ორკამერიან უნივერსალურ ინსინერატორში.მაღალი ეკონომიური და ეკოლოგიური ღირებულებების გამო ასეთი ღუმელები აქტიურად გამოიყნება სხვა ქვეყნებში. იგეგმება ყველა სახის ნახმარი ზეთების საწვავად გამოყენება გარდა პოლოქროლირებული ბიფენილებისა და პოლიქროლირებული ტრიფენილების შემცველი ნარჩენებისა.

დღეისათვის ქვეყანაში ათასობით ტონა ასეთი ნარჩენი წარმოიქმნება. მათ გადამუშავებას (რეგენერაციას) მხოლოდ რამდენიმე საწარმო ახდენს. ამავდროულად წარმოქმნილი ნახმარი ზეთების უმეტესი ნაწილი, მათი ხარისხის გამო რეგენერაციისათვის არ გამოდგება რის გამოც ,უმეტეს შემთხვევაში ხდება მათი ინსენერაცია, თუმცა ინსენერაციის შედეგად მიღებული ენერგიის გამოყენება, გარდა ერთეული შემთხვევებისა თითქმის არ ხდება.

ზემოთ აღნიშნულიდან გამოდინარე საწამოები, რომელთაც ასეთი ნარჩენები წარმოექმნებათ იძულებულნი არიან გაიღონ სერიოზული ხარჯები ამ ნარჩენების ტრანსპორტირება-განადგურება-დასაწყობებაზე. პროექტის განხორციელება მათ მისცემს შესაძლებლობას მიიღონ შემოსავალი ასეთი ნარჩენების რეალიზაციიდან. ეს ასევე ხელს შეუწყობს ასეთი ნარჩენების აღრიცხვის ლეგალიზებას.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, სათბურის გასათბობად ნახმარი ზეთების ინსენერაციის ღუმელის გამოყენება უზრუნველყოფს საწარმოს მიერ ენერგო რესურსებზე ხარჯების ეკონომიას, ამავდროლად ხელს შეუწყობს ასეთი ნარჩენების მართვას და მოგვცემს მეორად შედეგებს, როგორიცაა:

- ნარჩენების ეფექტური მართვის ხელშეწყობა;
- ბუნებრივი რესურსების დაზოგვა;
- ნახმარი ზეთების წარმომქმნელი ორგანიზაციებისათვის ამ ნარჩენის ეფექტური და ხელსაყრელი(მომგებიანი)მოშორების ხელშეწყობა;
- ნახმარი ზეთების წარმოქმნის აღრიცხვის პროცესის ლეგალიზება;

2. **პროექტის განხორციელების ადგილი:** ქ თბილისი, სოფელი ფონიჭალა

3. **საქმიანობის მასშტაბი:** ბუნებრივი პირობებიდან გამომდინარე სათბურის გასათბობად საჭირო ენერგიის მიღება საჭირო იქნება 7 თვის განმავლობაში(ოქტომბრის შუა რიცხვებიდან მაისის შუა რიცხვებამდე) და მის მიერ ინსინირებული იქნება დღეღამეში 200 ლიტრი ნახმარი ზეთი რაც წლიურად 42 000 ლიტრს შეადგენს;
4. **გამოყენებული დანადგარი:** ნახმარი ზეთის ინსინერაციისათვის გამოყენებული იქნება უნივერსალური ღუმელი (Горелка универсальная ГНОМ), სავაჭრო მარკა „STAVPECH" (დანართი N1- ღუმელის სერთიფიკატი და პასპორტი)
ღუმელი 2 კამერიანია და მუშაობს მფრქვევანას პრინციპით. საწვავი მიეწოდება ჰაერის კომპრესორიდან მფრქვევანას მეშვეობით. ღუმელში ჩამონტაჟებულია დენის გამაცხელებელი, რომელიც საწვავს აცხელებს იმ ტემპერატურემდე, რომელიც საჭიროა მისი აალებისათვის. საწვავის წვა(სრული წვა) გრძელდება მეორე კამერაში, სრულ დაშლამდე. ღუმელში ყველა პროცესი იმართება ავტომატურად. ხდება საჭირო ოპერაციული პარამეტრების დაყენება, რის შემდეგ დანადგარის კონტროლის განყოფილება ამუშავებს საწვავის დამუშავების ალგორითმს, იწყებს საწვავის გათბობას, მიწოდებას და ღუმელის მუშაობის მართვას.
5. **გამოყენებული საწვავი**: ღუმელში საწვავად გამოყენებული იქნება ნახმარი ზეთები. წლიურად 42000ლიტრი.
6. **საქმიანობასთან ან/და დაგეგმილ საქმიანობასთან კუმულაციური ზემოქმედება:**
მიმდებარე ტერიტორიაზე სხვა ობიექტები არ არსებობს.
7. **ბუნებრივი რესურსების (განსაკუთრებით - წყლის, ნიადაგის, მიწის, ბიომრავალფეროვნების) გამოყენება:**
   - <u>ნიადაგი და გრუნტის ხარისხი</u> - საქმიანობის განსახორციელებლად შერჩეული ტერიტორია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების, კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთია. ნაკვეთზე განთავსებულია სათბური და რამდენიმე დამხმარე ნაგებობა მათ შორის საქვაბე და საწვავის საწყობი. ზემოქმედება ნიადაგზე და გრუნტის ხარისხზე მოსალოდნელი არ არის.
   - <u>წყლის რესურსები</u>

     საწარმოო ჩამდინარე წყლები - პროექტის განხორციელებისას საწარმოო ჩამდინარე წყლების წარმოქმნა მოსალოდნელი არ არის.

     სანიაღვრე ჩამდინარე წყლები- საქვაბე და საწვავის განთავსების(საწყობი) ოთახები ზემოდან გადახურული, ბეტონის იატაკის მქონე ნაგებობას წარმოადგენ. საწვავის შემოტანა მოხდება ლითონის დახურული კასრებით. შემოტანილი საწვავი განთავსდება საწყობში. საწვავის ავარიული დაღვრის შემთხვევაში დაღვრის შესაკავებლად საწყობში და საქვაბეში მოეწყობა სითხის შემკრები სისტემა(ტრაპი) რომელიც დაუკავშირდება შედარებით ქვედა დონეზე მყოფ აუზს, სადაც ჩადგმული

იქნება საწვავის შესაკრები ავზი(კასრი). ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე სანიაღვრე წყლების დაბინძურება მოსალოდნელი არ არის.

სამეურნეო–საყოფაცხოვრებო წყლები- ასეთი წყლების შესაგროვებლად მოეწყობილია წყალგაუმტარი ორმო, (ნახმარი წყლების წყალშემკრები ავზი/რეზერვუარი,), საიდან საჭიროებიდან გამომდინარე ხდება ამ წყლების გატანა და შესაბამისი ნებართვის საფუძველზე გამწმენდ ნაგებობაში ჩაშვება.

ყოველივე ზემოთ თქმულის გათვალისწინებით, წყლის გარემოზე ზემოქმედების რისკი შეიძლება შეფასდეს, როგორც დაბალი ხარისხის ზემოქმედება.

- <u>დაცული ტერიტორიები</u> - პროექტის განხორციელების სიახლოვეს დაცული ტერიტორიები არ არსებობს
- <u>ბიომრავალფეროვნება</u>- პროექტის განხორციელება არ ითვალისწინებს მცენარეულ საფარზე და ცოცხალ ორგანიზმებზე ზემოქმედებას.
- <u>კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები</u> -პროექტის განხორციელების მიმდებარე ტერიტორიაზე არ ფიქსირდება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი.
- <u>ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება</u> - ღუმელის ექსპლოატაციისას მისი ტექნიკური მონაცემებიდან გამომდინარე, ასევე ღუმელის მიერ მოხმარებული ნახმარი ზეთის მოცულობის სიმცირის გამო ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებით გამოწვეული ზემოქმედება არ იქნება მნიშვნელოვანი. საქმიანობის დაწყებამდე საქართველოს კანონის -„ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ" მოთხოვნების შეასაბამისად მომზადდება და შეთანხმდება სამინისტროსთან შესაბამისი დოკუმენტაცია.

8. **ნარჩენების წარმოქმნა:** ღუმელის ექსპლოატაციისას ნარჩენების წარმოქმნა არ არის მოსალოდნელი.